ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

,,ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშზე"

დასკვნა

დამგეგმავი: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია
საქმიანობის შემსრულებელი: გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი ,,გეოგრაფიკი"

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის სკოპინგის ანგარიში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სამომავლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს და შეფასებას საზოგადოებასთან კომუნიკაციის გზით.
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების განაშენიანების განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალურ თუ კერძო პირების მიერ დადგენილი ღონისძიებების განხორციელებისთვის უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის (გგ) დოკუმენტის მოზადება, რომლის ამოცანაა დასახლების მთელი ტერიტორიის განვითარება, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი ანალიზისა და ზოგადი გეგმარებითი რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვანია წინასაპროექტო კვლევით დადგენილი ძირითადი მოცემულობები, რომლის საფუძველზეც მომზადდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინასაპროექტო კვლევის დასკვნითი ანგარიში.
,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი" საქართველოს კანონი (შემდომში-კოდექსი) მე-III თავის- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარება სავალდებულოა იმ სტრატეგიული დოკუმენტებისთვის, რომლითაც დგინდება სამომავლო განვითარების ჩარჩო კოდექსის I და II დანართებით

გათვალისწინებული საქმიანობისთვის, მათ შორის დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის დროს, რათა საბოლოო დოკუმენტში გათვალისწინებულ იქნას ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ასპექტები და მინიმუმამდე იქნას შემცირებული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ყაზბეგის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის" საფუძველზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებისათვის განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები (ჰაერის დაბინძურების, სასმელი-წყლის და ადექვატური სანიტარიის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დასაქმების, საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე ხელმისავდომობის, რადიაციული უსაფრთხოების, მოსახლეობის დაცვის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების დონის ჰიგიენური ასპექტები, სამედიცინო სერვისებზე (რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება გადამდები და არაგადამდები დაავადებების განვითარებას) ხელმისაწვდომობის დონე) **და გამოყენებული იქნა ორი ინსტრუმენტი:**

1. წარმოდგენილი ინფორმაციის კვლევების/ მტკიცებულებების შეფასება.
2. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტული ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება და დასკვნის მომზადება.

გარდა ამისა, დასკვნის მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი კანონები, საერთაშორისო კონვენციები/ხელშეკრულებები და კანონქვემდებარე დოკუმენტები, კერძოდ:

კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ".
კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ"
კანინი „გარემოს დაცვის შესახებ"
კანონი „გარემოსდაცვითი კოდექსი "
კანონი „წყლის შესახებ "
კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ "
კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ "
კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ";
კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ ";
კანონი „მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ;
კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ "
კანონი „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი "
ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ "
კანონი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ";
კანონი,, სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ";
კონკორდატი-საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფოსა და საქართველოს მართლამადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება. კონვენცია „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ "
„ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის "კონვენცია
კონვენცია „ტრანსასაზღვრო წყლებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების "შესახებ;

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგია (საქართველოს მთავრობის N 164 დადგენილება, 2014.14.02);
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" საქართველოს კანონი;
„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 260 დადგენილება;
„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N 261 დადგენილება;
"საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020" დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებების თაობაზე "საქართველის მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N 400 დადგენილება;
"მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების 2015-2021 წლების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 1285 დადგენილება;
UNITED NATIONS ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE (UNE CE). Resource Manual to Support Application of the Protocol on Strategic Environmental Assessment. UNITED NATIONS. New York and Geneva, 2012;
GUIDELINES ON PRACTICAL APPLICATION OF STRATEGIC ENVIRONMEN TAL ASSESSMENT IN GEORGIA. OECD, UNEP, UNECE and UNIDO. 2016;
NHS. London Healthy Urban Development Unit. Rap id Health Impact Assessment Matrix. 2017; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტები https://www.who.int/hia/en/
ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შემუშავებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, ტექნიკური რეგლამენტები, სხვადასხვა სექტორალური სტრატეგიები და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციები.

შენიშვნები და რეკომენდაციები სკოპინგის დასკვნაზე

სსიპ ლ.საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) მიერ არსებული შენიშვნები გათვალისწინებულია **„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშში" და** ასახულია პუნქტი 6. სგშ მეთოდოლოგია, ქვეპუნქტი 6.2 საბაზისო კვლევები. აღნიშნულ ქვეთავში ჩამოყალიბებულია ის ზოგადი და სპეციფიკური კვლევები, რომელთა განხორციელება რეკომენდებულია სგშ-ის მომზადების პროცესში. სივრცის დაგეგმარების გეგმებისთვის გაანალიზდება ასევე გეგმარების ალტერნატივები (როგორც მთლიანად ყაზბეგის მუნიციპალიტეტისთვის, ისე დაბა სტეფანწმინდისთვის). გეგმარებითი ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ

ალტერნატივებთან ერთად, განხილული და წარმოდგენილ იქნება ნულოვანი ალტერნატივა (გეგმარების გარეშე).
სგშ-ს დოკუმენტში წარმოდგენილ იქნება კონკრეტული საბაზისო კვლევები ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით (გვ 39-40 კონკრეტული წინადადებები/მოთხოვნები იქნა იდენტიფიცირებული დარგობრივი შინაარსის საბაზისო კვლევების და განსახილველი საკითხების მიმართ მოსახელობის ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებაში, რაც ქვემოთ არის წარმოდგენილი პუნქტობრივად, როგორც სგშ-ის ფარგლებში განსახილველი თემები (პრაქტიკულად ყველა იდენტიფიცირებული თემა ვრცელდება სტეფანწმინდაზეც)):

- მოსახლეობის ჯანმრთელობა, მათ შორის დემოგრაფიული მაჩვენებლები, ჯანმრთელობის პროფილები, ავადობის ტვირთი საკვლევ არეალზე, გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ტენდენციები და შემცირება.
- მოსახლეობის სოციალური ფონი, დასაქმება, სოც. სერვისებზე ხელმისაწვდომობა.
- მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ხელმისაწვდომობა სამედიცინო დაწესებულებებზე და ჯანდაცვის ობიექტებზე.
- ამბულატორიული, სტაციონარული, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისები.
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის არსებული ტენდენციები და შემცირების გზები.
- ადრეული და სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა.
- ხელმისაწვდომობა საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე, მწვანე საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი ადგილებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული ობიექტების მშენებლობა.
- ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გეგმარების, გამწვანებით, ბუნებაზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვით.
- ფიზიკური აქტივობა, ტრავმებისა და დაზიანებების არსებული ტენდენციები და მათი შემცირების გზები.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების გათვალისწინება.
- კერძო ავტოტრანსპორტზე მოთხოვნილების შემცირება, ალტერნატივების დანერგვა.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით სიარულის, ველოსიპედის ხელშეწყობა.
- წყალმომარაგების და სანიტარული პირობების, წყალარინებისა და კანალიზაციის სისტემის საკითხის შესწავლა (ტიპები, სასმელი წყლის ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა, წყლის დაბინძურება, მონიტორინგი და სხვა), მისი გაფართოების შესაძლებლობა განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე ნებისმიერ ალტერნატივაში.
- მდინარეების დაბინძურება საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით.
- ზედაპირული წყლის ანალიზი, მ.შ. მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგები.
- ახალი განაშენიანების პირობებში ღონისძიებები ნიადაგისა და წყლების დასაცავად.
- ჰაერის ხარისხის ანალიზი და გაუმჯობესების გზები.
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის დაგეგმვა.
- შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების შესწავლა და გაუმჯობესების შესაძლებლობები.
- შინამეურნეობებში საკვების მომზადების და გათბობისას გამოყენებული საწვავი ტიპი.
- ენერგოეფექტურობის პრინციპების დანერგვა საბინაო სექტორში და სხვა შენობა ნაგებობების მშენებლობის პროცესში.
- ნიადაგების დაბინძურების საბაზისო დონის გაუარესების შესაძლებლობის შეფასება სხვადასხვა დამაბინძურებლებით და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.
- ხმაურის გაზომვა, შეფასება, შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა.
- ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივების შეფასება და სათანადო ღონისძიებები.
- საყოფაცხოვრებო და სხვა ტიპის ნარჩენების მართვის არსებული ნაკლოვანებები და გეგმები, სწრაფად მზარდი ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით.
- კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებები, გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები.

დასკვნა:

განსახილველად წარმოდგენილ **„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიში"-ს** პროექტში გათვალისწინებულია ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი ასპექტების ზოგადი ანალიზი და კონკრეტული საბაზისო კვლევები იმ ტერიტორიებისთვის, რომლებიც შესაძლებელია მნიშვნელოვან ზემოქმედებას დაექვემდებაროს.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, **„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის და მასში შემავალი თემების სივრცის დაგეგმარების გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების** ანგარიშში სავალდებულოა წარმოდგენილ იქნეს სკოპინგის დოკუმენტში აღნიშნული კონკრეტული საბაზისო კვლევების შედეგები, როგორც ძირითად, ასევე სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ შესაძლო ალტერნატივებში **და შესაბამისი ფორმატით წარმოდგენილ იქნეს:**

- ადამიანის ჯანმრთლობაზე ამჟამად მოქმედი და პოტენციური რისკ-ფაქტორები, მათი ზემოქმედების არეალი და მასშტაბები.
- დაიგეგმოს თავიდან აცილებისა და/ან შემარბილებელი ღონისძიებები.

პატივისცემით,

სსიპ-ლ.საყვარელიძის სახელობის
დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის

გენერალური დირექტორი **ამირან გამყრელიძე**